A.P.C.R.G

Association of Pharmaceutical Companies Representatives in Georgia

ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაცია საქართველოში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ბატონ დავით სერგეევს

ბატონო დავით,

ფარმაცევტული პროდუქციის საერთაშორისო მწარმოებლები და მათი წარმომადგენლები საქართველოში, ვაცნობიერებთ, რომ საქართველოს მთავრობა და საქართველოს მოსახლეობის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო აქტიურად ცდილობს შეამციროს მოსახლეობის ჯიბიდან დანახარჯები ჯანდაცვის სფეროში, რის მტკიცებულებასაც წარმოადგენს გატარებული რეფორმები საყოველთაო ჯანდაცვის კუთხით და ინიციატივები საქართველოს მოსახლეობისათვის ხარისხიან მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

მისასალმებელია, რომ სამინისტრო ბოლო წლებში აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც განხორციელებული იქნა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. ბოლო პერიოდში ჩატარებული შეხვედრების დროს გამოიკვეთა სამინისტროს სურვილი და მზაობა, რომ ასეთი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდეს და გაფართოვდეს.

კარგად გვესმის, რომ, ამ ეტაპზე, ჯანდაცვის ბიუჯეტი არ იძლევა მოსახლეობისათვის სათანადო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობას და ამასთან, ფიქრობთ, რომ კერძო კომპანიებს ქვეყნის მოსახლეობის წინაშე ჩვენი წილი სოციალური პასუხისმგებლობა გვაკისრია აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოვთქვამთ მზაობას სახელმწიფოსთან ერთად, გარკვეული წილი შვიტასთან მოსახლეობის კეთილდღეობის საქმეში. მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად ვაფილებით დიდი მედეგების მომტანი იქნება სახელმწიფოს და კერძო სექტორის კოორდინირებული ძალისხმევა. გვწამს, რომ ძალთა გაერთიანების შედეგად მესაძლებელი გახდება ჩამოყალიბდეს სოციალურ პროექტებზე ორიენტირებული ერთობა, რომელიც ეფექტურად იმოქმედებს მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვეხმაურებით რა იმ ბოლო პერიოდში კერძო სექტორთან გამართულ შეხვედრებზე წამოყენებულ ინიციატივებს, გამოვთქვამთ სურვილს, რომ კერძო სექტორმა და სახელმწიფომ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით, გაეფართოებინათ ჩვენი ძალისხმევა და ერთობლივად შეექმნათ ოფერიდული ფორმატი (საბჭო, კომისია, ოფერიდული ჯგუფი, სხვ.), რომელიც არ იქნება ორიენტირებული მოგების მიღებაზე და რომელიც სახელმწიფოს და კერძო სექტორის ერთიანი სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს მწარმოებლებთან სოციალური პროექტების განსახორციელებლად ქვეყნისთვის მოსახმარებლად.

Association of Pharmaceutical Companies Representatives in Georgia

ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაცია საქართველოში

ამისათვის, მეტად მნიშვნელოვნია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და საერთაშორისო საექსპერტო გამოცდილების გამოყენება საქართველოში, რისი რესურსიც ჩვენ გაგვაჩნია და რაც, ასევე, იქნება გარანტია იმისა, რომ ამ პროცესების მიმდინარეობისას არ დაირღვევა საერთაშორისოდ აღიარებული ისეთი ნორმები, როგორიცაა ღია ფარმაცევტული ბაზარი, თავისუფალი კონკურენცია.

გამოვთქვამთ მზადყოფნას ვითანამშრომლოთ ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროებშიც, რათა ერთობლივად მოვახერხოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის მრავალი სასიკეთო ინიციატივის შემუშავება და განხორციელება.

პატივისცემით,

ირაკლი მარგველაშვილი

„აიპ „ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაცია საქართველოში"
აღმასრულებელი დირექტორი

თბილისი, ზელიმვილის ქ 8, ბიზნეს ცენტრი მეიმი,

შე-6 სართული, ოფისი 1

ტელ: 214 45 10

ელ ფოსტა: iraklim@caucasus.net

www.apcrg.org.ge

Association of Pharmaceutical Companies Representatives in Georgia

ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაცია საქართველოში

წერილი № 04/2018

თარიღი: 19 აპრილი, 2018 წ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს

ბატონ ზაზა სოფრომაძეს

ბატონო ზაზა,

ჩვენი ასოციაცია მადლობას გამოხატავს საქართველოს შრომის, ჯანმოთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ გამოპასუხებისთვის და მზადყოფნისთვის, რათა აქტიურად ვითანამშრომლოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე. ჩვენი ასოციაცია ასევე მზად არის ითანამშრომლოს აღნიშნულ საკითხში ჩართულ ყველა სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთან, რომელსაც სამინისტრო აღიქვამს პარტნიორად ჯანდაცვის სფეროს განვითარებისთვის .

შესაბამისად, გამოვთქვამთ თანხმობას თქვენს წერილში მოწოდებული წინადადებაზე ერთობლივად (სამინისტროსთან და შპს „ეი-ემ პი"-სთან ერთად) დაველაპარაკოთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

პატივისცემით,
ირაკლი მარგველაშვილი

ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაცია საქართველოში

აღმასრულებელი დირექტორი

თბილისი, ბელიაშვილის ქ 8, ბიზნეს ცენტრი მოლი,

მე-6 სართული, ოფისი 1

ტელ: 214 45 10

ელ-ფოსტა: irakliu@caucasus.net

www.apcrg.org.ge

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 37260
19 04 2018 წ.